# გაზაფხულის სტარტები... ზამთარში

გასულ შაბათს და კვირას

ტალინის უძველეს რატუშაზე თერმომეტრი 23 გრადუს ყინვას აჩვენებდა, როცა სპორტის სახლში პირველი სტარტები მიეცა... მძლეოსნურ სეზონს. სპორტის მოყვარულთა განწყობილება, მართლაც, საგაზაფხულო იყო: უჩვეულოდ ადრე ესტუმრა მათ „სპორტის დედოფალი" — ტალინელებმა იხილეს ფინეთის, საფრანგეთის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა შეჯიბრება.

და აი, ერთბაშად მაღალი შედეგი: მოსკოველმა ნ. კარასიოვმა ბირთვი ჰკრა 18,02 მეტრზე. 736 სანტიმეტრზე გადახტა ესტონელი პ. კივინე; ზუსტად 30 სმ წააგო მასთან ფინელმა კ. ვაუჰკონენმა.

მძლეოსნები ასპარეზობდნენ ლენინგრადისა და ტულის დახურულ სტადიონებზეც. ლენინგრადში ახალი ოსტატიც კი „იშვა": 19 წლის ი. ტარმაკი სიმაღლეზე 203 სმ-ზე გადახტა. ტულელებმა კი თავიანთი ახალი მანეჟი მოსინჯეს, რომლის მოედანი 1800 კვადრატული მეტრია და აქ ერთდროულად 150 სპორტსმენს შეუძლია ვარჯიში.

მაგრამ, ცხადია, ზამთარიც არავის დავიწყებია. მოსკოვში, 20-გრადუსიან ყინვაში მოციგურეებმა გაითამაშეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის ნ. სტრუნიკოვის ხსოვნის პრიზი, ხოლო ლენინგრადში მეთერთმეტედ შეხვდნენ ერთმანეთს ადგილობრივი და ფინეთის მოციგურენი.

ჩვენი ქვეყნის უძლიერესმა მოთხილამურეებმა სმოლენსკის მახლობლად გამართეს ბოლო შესარჩევი შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონატის წინ. განსაკუთრებით „ცხელოდა" ვაჟთა 15-კილომეტრიანი რბოლის ტრასაზე, სადაც ნორვეგიაში გამგზავრების ყველა პრეტენდენტი გამოვიდა. მხოლოდ ბობოქარმა ფინიშმა მოუტანა გამარჯვება ინსბრუკის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს ი. ვორონჩიხინს — 49.08,8. II იყო ა. აკენტიევი — 49.14,0. 50 კილომეტრზე რბოლაში ყველას აჯობა ჩერეპოვეცელმა სპორტსმენმა ვ. კუკლინმა — 2:58.10,0. 10 კილომეტრზე ქალთა რბოლაში თავი ისახელეს ე. მეკშილომ და მ. გუსაკოვამ, ხოლო ბიატლონისტთა ასპარეზობაში — ე. რეპინმა და ნ. მეშჩერიაკოვმა. ოლიმპიური ჩემპიონი ვ. მელანინი სროლაში ჩაფლავდა, რის გამო იგი პირველ ექვსეულშიც ვერ მოხვდა.

ამ შეჯიბრებებში მონაწილეობდნენ აგრეთვე სტუმრები — შვეციის, ბულგარეთის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოთხილამურეები.

კლინგენტალში (გდრ) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში საუცხოოდ გამოვიდნენ საბჭოთა „მფრინავი მოთხილამურეები". ი. ზუბარევმა 230,9 ქულა მოაგროვა (ნახტომები — 92,5 და 95 მ) და I ადგილი მოიპოვა, ხოლო II ადგილზე გავიდა პ. კოვალენკო (228,5 ქულა: 91,5 და 95 მ). III ადგილი დაიკავა ცნობილმა პ. ლესერმა (გდრ), რომელმაც პირველი ნახტომით დაამყარა ტრამპლინის რეკორდი — 97 მ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი.

№ 12 (2989) • სამშაბათი, 18 იანვარი, 1966 წ. • ფასი 3 კაპ.


## „სელტიკი" ითამაშებს 26 იანვარს

კიევის „დინამოსა" და გლაზგოს „სელტიკის" ფეხბურთელთა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე თბილისის „დინამოს" სტადიონზე გაიმართება 26 იანვარს.

## ზუშინ...

ბაკურიანში დაიწყო თბილისის ზამთრის საქალაქო სპარტაკიადა. ასპარეზობის სტარტზე გამოვიდა საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების 34 გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად არიან დაყოფილი. ქალთა შორის 5 კილომეტრზე რბენაში გაიმარჯვა სპორტკლუბ „სინათლის" გუნდის წევრმა ქ. კეხბამ — 24.45,0. ვაჟთა შორის 10 კილომეტრზე რბოლა მოიგო ნ. ბიტიუკოვმა (ფიზკულტურის ინსტიტუტი) — 42.20,0.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

## ევროპა, ამერიკა, აზია, აფრიკა...

▲ ბაზელი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარიისა და გფრ-ის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს გერმანელებმა — 14:13 (7:8).

▲ ჰააგა. აქ გაიმართა ჰოლანდიისა და ბელგიის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩი მსოფლიო პირველობაზე. ბელგიელები დამარცხდნენ (14:19) და მათ ფინალში გასვლის თითქმის ყოველგვარი შანსი დაკარგეს.

## ახალი ამბები საათის!

◆ ნიუ-იორკი, 17 იანვარი. აშშ-ის ოლიმპიურმა კომიტეტმა 1972 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ადგილად ოფიციალურად წამოაყენა დეტროიტი. ამ ქალაქმა მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ლოს-ანჯელოსმა, სენტ-ლუისმა, ჩიკაგომ და ფილადელფიამ. მე-2 ამერიკული ქალაქი — სოლტ-ლეიკ-სიტი იბრძოლებს მოიპოვოს იმავე წლის თეთრი ოლიმპიადის ჩატარების უფლება. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ ამ საკითხის განხილვისას დეტროიტს მეტოქეობას გაუწევენ მონრეალი (კანადა), მიუნხენი (გფრ) და მადრიდი (ესპანეთი). ზამთრის ოლიმპიადის მომწყობ კანდიდატთა სია ასე გამოიყურება: ლაჰტი (ფინეთი), საპორო (იაპონია), კალგარი (კანადა). განაცხადების შეტანის ბოლო ვადაა 20 იანვარი.

◆ გდანსკი, 17 იანვარი. მსოფლიოში წლეულს ბირთვი ყველაზე შორს ჰკრა ვ. კომარმა. აქ მოწყობილ შეჯიბრებაში ნიჭიერმა პოლონელმა ათლეტმა აჩვენა 19,20 მ. ეს პოლონეთის ახალი რეკორდია დახურული შენობისთვის.

◆ რეიკიავიკი, 17 იანვარი. ისლანდიის დედაქალაქში მიმდინარე ტრადიციულმა საჭადრაკო ტურნირმა ევროპის ქვეყნების 12 წარმომადგენელი მიიზიდა. ლიდერთა შორისაა მოსკოველი დიდოსტატი ე. ვასიუკოვი, რომელსაც 1,5 ქულა აქვს 2-დან.

## თასის მფლობელი დამარცხდა

როგორც 15 იანვრის ნომერში ვიუწყებოდით, („კალათბურთელთა „სტიპლჩეზი"), უკვე დაიწყო ნახევარფინალური მატჩები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე კალათბურთელ ვაჟთა შორის.

მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა შემდეგი შეხვედრები:

**პრაღაში** ადგილობრივმა „სლავიამ" დაამარცხა ამ საპატიო ნადავლის მფლობელი — მადრიდის „რეალი" — 83:71 (37:31). მაგრამ ესპანელთა მწვრთნელი, კალათბურთის ცნობილი ფრანგი მოღვაწე რ. ბიუსნელი ოპტიმისტურადაა განწყობილი და იმედოვნებს, რომ მისი აღსაზრდელები მადრიდში შეძლებენ საჭირო რევანშის აღებას.

**ანტვერპენში** ადგილობრივი „რესინგი" შეხვდა იტალიის ჩემპიონს „სიმენტალს". მიუხედავად სტუმრების დიდი მონდომებისა, და მათ რიგებში ცნობილი ამერიკელი კალათბურთელის ბ. ბრედლის აქტიური თამაშისა, ბელგიელებმა შეძლეს საკმაოდ დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება — 104:94 (53:49).

## ჭაბუკების და ხანდაზმულნის...

ლენინგრადის „სპარტაკის" ზამთრის ცურვის სექციის წევრთა რიცხვმა უკვე 150-ს გადააჭარბა. ამ სექციას 9 წლის წინათ საფუძველი ჩაუყარეს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა მ. რუსინოვმა, ქარხანა „ელექტროაპარატის" ზეინკალმა ბ. კოლესნიკოვმა, ინჟინერმა ვ. მარგოლინმა და სხვ. ამ სექციაში მეცადინეობენ 17 წლის ჭაბუკებიც და 60 წელს მიღწეულნიც.

სპორტის ამ საინტერესო სახეობის პროპაგანდის მიზნით სექციის წევრები ხშირად გადიან ქალაქგარეთ და იქ აწყობენ ზამთრის მასობრივ ბანაობას.



სურათზე: ბანაობა სესტრორეცკის კულტურისა და დასვენების პარკ „დუბკიში".

ფოტო ვ. რუბაცკისა (საკდესი).

## ახალი ამბები

● პარიზი, 16 იანვარი. მოსკოვის „ტრუდის" ხელბურთელი ქალები ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე მერვედფინალურ მატჩში აქ შეხვდნენ საფრანგეთის „კოლომბოსს". ამჯერადაც გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა — 19:9.

● კასაბლანკა, 16 იანვარი. ცსკა-ს ფრენბურთელმა ვაჟებმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მერვედფინალურ მატჩში დაამარცხეს ადგილობრივი კლუბი „კკკ" — 3:0.

● შვერინი, 16 იანვარი. მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ გდრ-ისა და სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 24:16.

● დონეცკი, 16 იანვარი. ორ დღეს მიმდინარეობდა საფრანგეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა მოკრივეთა მატჩი ევროპის თასზე. ისევე როგორც პირველ მატჩში (ლიონში), გამარჯვება ამჯერადაც საბჭოთა მოკრივეების მხარეზე აღმოჩნდა. ანგარიშია 8:2. ახლა ნახევარფინალში საბჭოთა სპორტსმენები იუგოსლაველებს შეხვდებიან.

● სტამბოლი, 16 იანვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის განმეორებით მეოთხედფინალურ მატჩში მოსკოვის ცსკა-ს ფრენბურთელმა ქალებმა „მშრალი" ანგარიშით მოუგეს ადგილობრივ „ბეშიქტაშს" — 3:0 (15:0, 15:3, 15:2). ნახევარფინალში საბჭოთა ფრენბურთელების მეტოქეები იქნებიან გდრ-ის სპორტსმენები.

● დელი, 16 იანვარი. აქ დამთავრდა ინდოეთის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ესტონელმა ტ. სოომემ აზიის ქვეყნების ჩემპიონის წოდებას ინდოეთის ჩემპიონობაც დაუმატა: ნახევარფინალში დაამარცხა ნ. ვასანტი — 2:6, 6:1, 8:6, ხოლო ფინალში — ახალზელანდიელი მ. ლოუ — 6:3, 2:6, 6:4. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა ჩოგბურთელი ვაჟები: თ. კაკულიამ მეოთხედფინალში წააგო იაპონელ კ. ვატანაბესთან, ხოლო ა. მეტრეველმა — ნახევარფინალში დ. მუკერჯისთან (ინდოეთი) — 6:2, 7:9, 4:6, 3:6.

## ნონა ბევერვეიკში

ჰოლანდიის ერთ-ერთ სამრეწველო ქალაქ ბევერვეიკში 1938 წელს დასაბამი მიეცა ტრადიციულ საახალწლო საჭადრაკო ტურნირებს, რომლებიც 1946 წლიდან საერთაშორისო მასშტაბის გახდნენ. ამიტომ ბევერვეიკს საჭადრაკო წრეებში „ჰოლანდიის ჰასტინგსს" უწოდებენ.

ბევერვეიკის საჭადრაკო ფესტივალის დროს მრავალი ტურნირი იმართება. ამ შეჯიბრებებში მონაწილენი დაყოფილნი არიან კვალიფიკაციის მიხედვით. დიდოსტატები და გამოჩენილი ოსტატები თამაშობენ მთავარ ტურნირში, ცალკე თამაშობენ საერთაშორისო და ეროვნული ოსტატები. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი მომდევნო წელს მთავარ ტურნირში დაიშვებიან. იმართება აგრეთვე სხვა თანრიგოსანთა ტურნირები, ტურნირები ქალებისა და ჭაბუკთათვის.

ბევერვეიკს აქვს ერთი ფრიად საყურადღებო თავისებურება: საჭადრაკო ფესტივალის მონაწილეებს მასპინძლობას უწევენ ქალაქის მკვიდრნი: მოჭადრაკეები ასპარეზობის პერიოდში მათთან ცხოვრობენ.

ბევერვეიკში ბევრ საბჭოთა მოჭადრაკეს უთამაშია. 1963 წელს ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ნ. გაფრინდაშვილმა. ეს იყო მსოფლიოს ჩემპიონის დებიუტი საერთაშორისო სარბიელზე. ნონა ქალთა ტურნირში გამოვიდა. მან წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა კოლეგებსა და ფესტივალის ორგანიზატორებზე: ყველა პარტია გამანადგურებელ სტილში მოიგო. სპეციალისტებისა და მომხილველების აზრით, ნონას უფრო ვაჟთა ტურნირებში დაშვენდებოდა თამაში. და ბევერვეიკის ფესტივალის ორგანიზატორებმა სთხოვეს, ნონას გაისად ჩამოსულიყო ოსტატ ვაჟთა ტურნირში სათამაშოდ. მაგრამ ახალ წელს 1964 და 1965 წლებს ნონა ჰასტინგსში შეხვდა და ორივეჯერ დიდად ისახელა თავი. და აი, ნონამ ჰოლანდიელებსაც შეუსრულა თხოვნა.

ბევერვეიკში ნ. გაფრინდაშვილი ითამაშებს ოსტატ ვაჟთა ტურნირში, რომელშიც 16 კაცი მიიღებს მონაწილეობას. სხვათა შორის, ეს იქნება პირველი შემთხვევა, როცა ბევერვეიკის ვაჟთა ასპარეზობაში ქალი გამოვა. ამიტომ ნონას მოუთმენლად მოელოდნენ ჰოლანდიაში. ჯერ ასპარეზობა არ დაწყებულა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონს უკვე სხვა პატარა, ექვსკაციან საერთაშორისო ტურნირში იწვევენ სათამაშოდ.

ტრადიციულ ფესტივალში ნონა გაფრინდაშვილის მონაწილეობა საჭადრაკო მსოფლიოს ყურადღებას იპყრობს. მოასპარეზენი დღეს შეუდგებიან ბრძოლას.

თ. ბიორბაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის

# წყალში... შველას ითხოვდნენ

სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაზე ცურვა მძლეოსნობის შემდეგ ყველაზე წარმომადგენლობითი იქნება. თუ წინა სპარტაკიადაში მოცურავეთა გუნდები 29 სპორტსმენისგან შედგებოდა, ახლა ეს რიცხვი 48-ს მიაღწევს. გაიზრდება მოსწავლეთა გუნდების რაოდენობაც, და ცხადია, კოლექტივების სრულფასოვანი სპორტსმენებით დაკომპლექტება მოითხოვს მნიშვნელოვან ღონისძიებათა გატარებას, რაც ძირითადად პერსპექტული მოცურავეების გამოვლინებითა და მათი აღზრდით უნდა გადაწყდეს. ცურვა საქართველოში ჯერ კიდევ ვერ ავიდა განვითარების, ახე ვთქვათ, საერთაშორისო დონემდე, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ბავშვთა სპორტსკოლები სათანადო შევსებას ვერ იღებენ, და აქედან გამომდინარე, კარგ რეზერვს ვერ აწვდიან რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს.

პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლინებისა და მათ ხარჯზე ბავშვთა სპორტსკოლების შევსების მიზნით საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის წინადადებით თბილისის სპორტკავშირმა და ცურვის საქალაქო ფედერაციამ შეიმუშავეს ქალაქის მოსწავლეთა შორის მასობრივი შეჯიბრების დებულება და თბილისის განათლების განყოფილებასთან ერთად შეუდგნენ ცხოვრებაში მის გატარებას.

მოსამზადებელი სამუშაო თითქოს ნაყოფიერად ჩატარდა. თბილისის ყველა რაიონის განათლების განყოფილება, სპორტკავშირი და სპორტსკოლა დროულად ჩავაყენეთ საქმის კურსში. ვვარაუდობდით, რომ ისინი სრული პასუხისმგებლობით მიუდგებოდნენ ამ სასარგებლო წამოწყებას და მოსწავლეებს მასობრივად გამოიყვანდნენ სტარტზე.

თბილისის ყველა დახურული აუზი დეკემბერში ამ ტურნირს დაეთმო. აუზების დირექციებმა ბევრი რამ გააკეთეს ნორჩების საუკეთესოდ „გამასპინძლებისთვის" მაგრამ... ხშირ შემთხვევაში სტუმრობა არც თუ სახარბიელო იყო.

ნორჩებს კარგად შეხვდა საქართველოს სპორტკავშირის აუზი (დირექტორი გ. ვაშაძე, სასწავლო ნაწილის გამგე ვ. გოიაშვილი), სადაც ასპარეზობდნენ ორჯონიკიძისა და კალინინის რაიონების სკოლების აღსაზრდელები. ორჯონიკიძის რაიონელთა შეჯიბრებანი ნამდვილ დღესასწაულად გადაიქცა. ტურნირზე მოვიდნენ რაიონის ხელმძღვანელები, მასწავლებლები, პიონერხელმძღვანელები და მშობლები. სტარტზე გამოვიდა 287 ბავშვი. თანატოლებში ყველას აჯობეს მე-60 სკოლის (დირექტორი ლ. მელაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი უ. კოხრეიძე) მოსწავლეებმა. სამწუხაროდ, ახეთი მასობრივი არ იყო კალინინის რაიონის მოსწავლეთა შეჯიბრება. 11 სკოლიდან ხუთმა ვერც ერთი მოსწავლე ვერ გამოიყვანა. გამარჯვება დარჩა 1-ლი სკოლის (დირექტორი ნ. კიკვაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი შ. ფანცურიძე) კოლექტივს.

არც „შრომითი რეზერვების" აუზი (ბაზის დირექტორი ი. ხარჩილავა, უფროსი მწვრთნელი ცურვაში ვ. იორდანიშვილი) დახვედრია ცუდად „კლიენტებს" — ლენინისა და 26 კომისრის სახელობის რაიონების ნორჩებს. აქ ლენინის რაიონის მოსწავლეებზე (167 მონაწილე) მეტი ორგანიზებულობა გამოიჩინეს 26 კომისრის სახელობის რაიონის სკოლებმა, რომლებმაც ტურნირზე მოიყვანეს ყველაზე მეტი (360) ბავშვი. ლენინის რაიონში ყველას აჯობა მე-13 სკოლამ (დირექტორი გ. კვაჭაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. კინკინოვი), 26 კომისრისაში კი — 109-ე სკოლამ (დირექტორი რ. ძამოევი, ფიზაღზრდის მასწავლებელი რ. ანანოვა).

თბილისის „დინამოს" სტადიონის აუზში ასპარეზობდნენ 1 მაისის, ოქტომბრისა და კიროვის რაიონების სკოლები. სამწუხაროდ, შეჯიბრების ორგანიზატორები ორ კვირა დღეს ამაოდ მოცდნენ, ვინაიდან ოქტომბრისა და 1 მაისის რაიონებში უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ შეჯიბრებას. ოქტომბრის რაიონის სპორტკავშირმა (თავმჯდომარე გ. მეგრელიძე) და სპორტსკოლამ (დირექტორი შ. ჯაფარიძე), როგორც ჩანს, საქმე ბედის ანაბარა მიატოვეს. მართალია, ჯაფარიძე სარბიელზე მოვიდა, მაგრამ როცა მას უსაყვედურეს: რატომ მასობრივად არ გამოიყვანეთ ბავშვებიო, ხელები უმწეოდ გაშალა და, სამართლიანი შენიშვნით განაწყენებულმა ასპარეზობის ბოლომდე არ მოიცადა. აბა, მართლაც სამარცხვინო არ იყო, რომ მთელი რაიონიდან მხოლოდ 70 ბავშვი მოვიდა ტურნირზე?!

უფრო მეტად შეირცხვინა თავი 1 მაისის რაიონმა (გამარჯვებულმა 115-ე სკოლამ მოიყვანა მხოლოდ 6 სპორტსმენი). „დინამოს" აუზი სწორედ ამ რაიონშია და მისი 20 სკოლის 1000-მდე ბავშვი ჩვენთან ვარჯიშობს, მასობრივ შეჯიბრებაში კი მარტო 61 მოსწავლე ჩაებეს (!). უფრო მეტიც, სპორტკავშირის თავმჯდომარეს ა. პეტროსიანსა და სპორტსკოლის დირექტორს ვ. შუდრას შეჯიბრებაზე მოსასვლელად თავიც კი არ შეუწუხებიათ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი რამ — 1 მაისის რაიონის ფიზკულტურის ხელმძღვანელთა დაუინტერესებლობა — პირველი შემთხვევა როდია. შარშან აქვე ჩატარდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ცურვაში. მას შემდეგ 8 თვე გავიდა და შუდრამ დღემდე არ იცის ასპარეზობის შედეგები, არ მოუხდენია გამარჯვებული გუნდებისა და სპორტსმენების დაჯილდოება.

ამ მასობრივ ღონისძიებას ყველაზე გულისხმიერად მოეკიდა კიროვის რაიონი (სპორტკავშირის თავმჯდომარე ა. ცხაკაია, სპორტსკოლის დირექტორი ა. სიხარულიძე). კიროველებმა შეჯიბრებაში მონაწილეობა მიაღებინეს თითო სკოლიდან საშუალოდ 30 ბავშვს. გაიმარჯვა 72-ე სკოლის (დირექტორი გ. ლითონიშვილი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. ქუთათელაძე) გუნდმა.

საბოლოოდ ადგილები რაიონთა შორის ასე განაწილდა: 1. 26 კომისრის, 2. ორჯონიკიძის, 3. კიროვის, 4. ლენინის, 5. კალინინის, 6. ოქტომბრის, 7. 1 მაისის რაიონები.

შეჯიბრებამ გვიჩვენა სხვა მეტად სამწუხარო მოვლენაც: ასპარეზობებში მონაწილე 1142 მოსწავლიდან გოგონა იყო მხოლოდ... 84 და მათი უმეტესობაც იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდა, რომ 25 მეტრის გაცურვასაც ვერ ახერხებდა, იძირებოდა და შველას თხოულობდა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ დედაქალაქის სკოლებში ცურვის სწავლება სამარცხვინოდ დაბალ დონეზეა.

თბილისის განათლების განყოფილება და სპორტკავშირი ალბათ იმსჯელებენ ამ მასობრივი შეჯიბრების შედეგებზე და მათ, ვინც მისდამი გულგრილობა გამოიჩინა, სათანადოს მიუზღავენ. ხომ ნაღდია, რომ თბილისის რაიონების სპორტკავშირებისა და სპორტსკოლების ხელმძღვანელები, განათლების განყოფილებები, სკოლების დირექტორები და ფიზაღზრდის მასწავლებლები მიეჩვივნენ საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებას და „სხვისი ხელით ნარის წეწვას"!

სარვეზების მიუხედავად, მასობრივი შეჯიბრება ცურვაში უდავოდ კარგი ღონისძიება იყო. მან საშუალება მოგვცა შეგვერჩია კარგი მონაცემების მქონე ახალგაზრდები და ბავშვთა სპორტსკოლები შეგვევსო უფრო პერსპექტული, ნიჭიერი მოცურავეებით.

სასურველია ამგვარი ტურნირების კვლავ გამართვა არა მარტო თბილისში, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ლ. იოაკიმიდი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

## წოდებები...

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **მაგიდის ჩოგბურთში** — ი. კანდარიანს (თბილისი, „ლოკომოტივი"); **კრივში** — ნ. აირაპეტიანს (თბილისი, „განთიადი").

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ჭადრაკში** — რ. ჯინჯიხაშვილს (თბილისი, „ბურევესტნიკი"); **ცურვაში** — გ. შიხიკიანს (თბილისი, „დინამო"); **ნიჩბოსნობაში** — ნ. ტროფიმენკოს (ფოთი, „ვოდნიკი"); **თავისუფალ ჭიდაობაში** — შ. პაპაშვილს (თბილისი, „სპარტაკი"), მ. ლიპარიშვილს (ქუთაისი, „სპარტაკი"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ვ. ლაფაჩიშვილს (რუსთავი, „განთიადი"), ზ. დუმბაძეს (ბათუმი, „სპარტაკი"), ვ. ჯაფარიძეს (ონი, „კოლმეურნე"); **სამბოში** — რ. ბერუაშვილს (თბილისი, „დინამო").

## ასპარეზობენ რკინიგზელები

სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს წითელ კუთხეში ორ თვეს მიმდინარეობდა შეჯიბრება დეპოს პირველობაზე ჭადრაკში, შაშსა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჭადრაკში I ადგილზე გავიდა დეპოს უფროსის მოადგილე შეკვეთების დარგში კ. კაცაძე, შაშში — მემანქანე კ. მიგინეიშვილი, ხოლო მაგიდის ჩოგბურთში — ზეინკალი ი. სტურუა.

ვ. მაისურაძე.
სამტრედია.

## გულგრილობისა და უკონტროლობის შედეგი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მკაფიოდაა განსაზღვრული პროფკავშირების როლი მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და მშრომელთა შორის გამაჯანსაღებელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. პარტიის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად პროფკავშირების საკავშირო XIII ყრილობამ დასახა კონკრეტული გზები. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირფესვიანად გარდაქმნეს ფიზკულტურული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა. ისინი უფრო დაუახლოვდნენ კოლექტივებს, ღრმად ჩასწვდნენ მათს საქმიანობას, რანაც ხელი შეუწყო ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და დაწესებულებებში მომუშავეთა შორის მასობრივ - ფიზკულტურული და სპორტულ - გამაჯანსაღებელი საქმიანობის გაუმჯობესებას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება ისეთი ორგანიზაციები, რომელთა ხელმძღვანელებამდე, როგორც ჩანს, ვერ მიაღწია ამ გადაწყვეტილებებმა, ან კიდევ მათ სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ პარტიისა და ზემდგომი პროფკავშირული ორგანოების დადგენილებებიდან და მუშაობას კვლავ ძველი სტილით აგრძელებენ.

ერთი ასეთთაგანია თბილისის სათამაშოების ფაბრიკა (დირექტორი ვ. ცინცაძე). ფაბრიკის 600-ზე მეტი მუშა-მოსამსახურიდან ბევრს უყვარს ფიზკულტურა და სპორტი, სექციებში მეცადინეობა, მაგრამ მშრომელთა გატაცებას აქ ანგარიშს არავინ უწევს.

ფიზკულტურული კოლექტივის საბჭო (თავმჯდომარე — საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი კრივში, სპორტის ოსტატი ლ. ასატუროვი) და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტი გ. ქობულაშვილი შარშანწინ ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობდნენ. ჩამოაყალიბეს სექციები, გამართეს შეჯიბრებანი, რაიონულ პირველობებში გუნდები გამოყავდათ და ა. შ. შარშან კი მთელი წლის მანძილზე, არც ერთს, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებიათ. ამის შედეგად ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის ჩაიშალა მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი საქმიანობა, არარეგულარულად ტარდებოდა კოლექტივის საბჭოს სხდომები. საბჭოს წევრებზე განაწილებული არ იყო დავალებები. საქმიანობა შეწყვიტეს საამქროების ფიზკულტურულმა საბჭოებმა. სექციები ფაქტიურად უმოქმედობდნენ, არ იმართებოდა შეჯიბრებები. არ ჰყავდათ ნაკრები გუნდები, რომლებიც ფაბრიკის ღირსებას დაიცავდნენ „განთიადის" საქალაქო შეჯიბრებებში. უმოქმედობის გამო მოხდა ისიც, რომ შეუსრულებელი დარჩა ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმის ყველა მაჩვენებელი.

ქობულაშვილს, რომელიც საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტად ითვლებოდა, თავისი უშუალო მოვალეობა და მშრომელთა გამაჯანსაღებელი სხვა ღონისძიებების მოწყობაც კი დაავიწყდა. არავის მოჰგონებია საერთო ფიზმომზადების, ნადირობისა და თევზჭერის სექციების, ჯანმრთელობისა და ტურისტული ჯგუფების ქმედითუნარიანობისათვის ბრძოლა. მივიწყებული იყო სპორტის აგიტაცია-პროპაგანდა, ლექცია-მოხსენებები. არ ეწყობოდა შეხვედრები მოწინავე სპორტსმენებთან.

ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ბოროტად იყენებდა დირექციისა და საფაბრიკო კომიტეტის (თავმჯდომარე მ. ყუფარაძე) ნდობას, სარგებლობდა მათი უკონტროლობით და მოტყუების გზას დაადგა — „განთიადის" ცენტრალურ საბჭოში წარმოადგინა ყალბი, თვალისამხვევი ცნობები სტატისტიკურ ანგარიშში, რომელსაც საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის ნაცვლად თვითონ მოაწერა ხელი, ჩაწერა, თითქოს ფაბრიკაში მომზადდა ფიზკულტურული კოლექტივის 4 თავმჯდომარე, 2 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი და 2 მსაჯი, მაშინ, როცა არაფერი ამგვარი არ გაკეთებულა.

„განთიადის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა, რომელმაც სათამაშოების ფაბრიკაში მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობის საკითხი მოისმინა, გულგრილი და უპასუხისმგებლო საქმიანობისთვის ფაბრიკის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ქობულაშვილი მოხსნა თანამდებობიდან და პროფკავშირის სათანადო რესპუბლიკური კომიტეტის წინაშე დასვა საკითხი, რათა ფაბრიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაუმჯობესებლად შესატყვისი ღონისძიებები დაისახოს.

ტ. კიკნაველიძე,
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მასობრივი მუშაობისა და კადრების განყოფილების გამგე.



სპორტულ ტანვარჯიშში „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე ბავშვთა სპორტსკოლის ნორჩ სპორტსმენთა შორის თბილისელ რ. ჯინჭარაძეს საპრიზო ადგილი არ დაუკავებია. მაგრამ ტანმოვარჯიშე გოგონამ მაინც მიიპყრო სპეციალისტთა და მაყურებელთა ყურადღება მკაფიო, კარგ დონეზე შესრულებული ვარჯიშით. იგი ერთხმად იქნა აღიარებული ჩვენი რესპუბლიკის წამყვან ოსტატთა ერთ-ერთ პერსპექტიულ ცვლად.

სურათზე: რ. ჯინჭარაძე ვარჯიშობს დგირზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## II უნივერსიადაზე

საუნივერსიტეტო სპორტის საერთაშორისო ფედერაცია (ფისუ) წლეულს, 5-13 თებერვალს იტალიაში ატარებს მსოფლიოს სტუდენტთა მორიგ ზამთრის თამაშებს. აპს-ის კორესპონდენტმა ვ. პირეიკომ სთხოვა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარეს ი. პარფიონოვს მოეთხრო საბჭოთა სპორტსმენების მზადებაზე მომავალი შეჯიბრებებისთვის.

— სტუდენტური საერთაშორისო მოძრაობა, — თქვა ი. პარფიონოვმა, — რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ავტორიტეტს იხვეჭს. ყოველწლიურად იზრდება სტუდენტთა საერთაშორისო თამაშებში მონაწილე ქვეყნების რიცხვი, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა სპორტული შედეგების ამაღლებას. ამჟამად ცნობილმა ბევრმა ოლიმპიურმა პრიზიორმა პირველად სწორედ ზამთრისა და ზაფხულის უნივერსიადებზე „აღიმაღლა" ხმა. ეჭვი არაა, რომ ეს ტრადიცია კვლავ გაგრძელდება.

წინასწარი მონაცემებით მომავალ უნივერსიადაში მონაწილეობას მიიღებენ 20 ქვეყნის გუნდები. მათ რიცხვში არიან ისეთი სპორტული სახელმწიფოები, როგორებიც არიან ავსტრია, ბულგარეთი, იაპონია, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, უნგრეთი, შვეიცარია, შვეცია. უნივერსიადაში პირველად გამოვლენ ამერიკელი სპორტსმენები.

● **სპორტის რომელ სახეობებში იასპარეზებენ იტალიაში საბჭოთა სპორტსმენები?**

— ალბათ, ექვსივე სახეობაში, რომლებიც შეტანილია შეჯიბრებათა პროგრამაში. უნივერსიადაზე გათამაშდება ოქროს 19 მედალი. მათ შორის, 4 სათხილამურო რბოლებში, 1 — ტრამპლინიდან ხტომაში, 1 — ორჭიდში, 4 — ციგურებით ფიგურულ სრიალში, 8 — სამთო-სათხილამურო სპორტში, 1 — ჰოკეიში.

როგორც ხედავთ, სამთო-მოთხილამურეებს შეხვდებათ უნივერსიადის ოქროს ჯილდოების თითქმის ნახევარი. აქედან დასკვნა: გუნდურ ჩათვლაში გამარჯვების გასაღები სამთო-მოთხილამურეთა ჯიბეში იქნება.

● **წავლენ თუ არა უნივერსიადაზე საბჭოთა ჰოკეისტები?**

— როგორც ჩანს, წავლენ. შეჯიბრებისთვის ემზადება სტუდენტური გუნდი, რომელიც ძირითადად შედგენილია ვოსკრესენსკის „ხიმიკის" მოთამაშეთაგან.

● **როგორ ემზადებიან იტალიაში გასამგზავრებლად საბჭოთა სამთო-მოთხილამურეები?**

— შეჯიბრებისთვის იწვრთნება 17 კანდიდატი, რომლებმაც თავი გამოიჩინეს 1964-1965 წლებში. აგვისტოში სამთო-მოთხილამურეებს ჰქონდათ მოკლევადიანი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება სამხრეთში, სადაც დიდი დრო ეთმობოდა საწყლოსნო თხილამურებში მეცადინეობას. 10 ნოემბრიდან კანდიდატები თხილამურებზე დადგნენ ალმა-ათის ახლო მდებარე ჩიმბულაკის ბაზაზე. უნდა ითქვას, რომ საბჭოთა სტუდენტმა-სამთო - მოთხილამურეებმა ურიგოდ როდი გაიარეს წვრთნა. ამაზე მეტყველებს მთიან ტრასებზე მეცადინეობის შემდეგ სპორტსმენების მიერ თავიანთ სპორტულ დღიურებში ჩაწერილი კილომეტრაჟი. ვაჟთაგან ბევრმა გადააჭარბა 200 კილომეტრს, ქალთაგან კი — 170 კილომეტრს. იანვრის პირველი ნახევარი სტუდენტმა-სამთო - მოთხილამურეებმა ბაკურიანში გაატარეს. ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სამთო-მოთხილამურეთა სა-




„ლელოს" მკითხველები აქტიურად გამოეხმაურნენ „ჟიულ რიმეს თასის" ჩვენს კონკურსს და რედაქციაში უკვე მოდის წერილები.

კონკურსში მონაწილეთა დასახმარებლად ჩვენ გადავწყვიტეთ გამოვაქვეყნოთ სხვადასხვა სახის წერილების სერია, მათ შორის ვბეჭდავთ ფინალის ყველა 16 გუნდის მონაცემებს (სავარაუდო შემადგენლობებით, მსოფლიო ჩემპიონატებში გამოსვლათა ისტორიით და ა. შ.).

„სავიზიტო ბარათების" გამოქვეყნებას ვიწყებთ კენჭისყრის სიის მიხედვით: I ჯგუფი, 1 გუნდი. ესაა ურუგვაი.

* * *

სურათზე: მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი პლაკატი (ინგლისი).




მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1930 და 1950 წლები). თუ ურუგვაელები ინგლისშიც გაიმარჯვებენ, მათ სამუდამო მფლობელობაში გადაეცემათ „ჟიულ რიმეს თასი".

გუნდს შარშან დეკემბრის მეორე ნახევრამდე წვრთნიდა 58 წლის ხუან ლოპესი. იგი შეცვალა 60 წლის ონდინო ვიერამ.

ურუგვაის ფეხბურთელები დიდი წარმატებით გამოვიდნენ მსოფლიოს I ჩემპიონატში. აქ მათ სძლიეს პერუს (1:0), რუმინეთს (4:0), იუგოსლავიას (6:1), არგენტინას (4:2) და მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ. II და III ჩემპიონატებში ურუგვაელები არ მონაწილეობდნენ.

კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმეს ურუგვაელებმა IV ჩემპიონატში. მათ სძლიეს ბოლივიას (8:0), შვეციას (3:2) და ფრედ ითამაშეს ესპანელებთან (2:2). ფინალური მატჩი ურუგვაელებმა მოუგეს ბრაზილიას (2:1) და მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა.

V ჩემპიონატის ფინალი ჩემპიონებმა წარმატებით დაიწყეს: სძლიეს ჩეხოსლოვაკიას (2:0), შოტლანდიას (7:0), ინგლისს (4:2), მაგრამ ნახევარფინალში წააგეს უნგრეთის „დიდ გუნდთან" — 2:4. III ადგილისთვის დანიშნულ გადამწყვეტ მატჩში ურუგვაელებმა კიდევ ერთი მარცხი იგემეს, ამჯერად ავსტრიელებთან — (1:3).

ამ დროიდან მოყოლებული ურუგვაის ნაკრები სერიოზულ კრიზისს განიცდის. იგი ვერც კი მოხვდა VI ჩემპიონატის ფინალში: შესარჩევ ჯგუფში წააგო პარაგვაისთან (0:5, 2:0) და ქულა დაკარგა კოლუმბიასთანაც (1:1, 1:0).

ჩილეში თამაშის უფლება ურუგვაელებმა მოიპოვეს ბოლივიელებთან ბრძოლაში (1:1, 2:1), ფინალში მათ სძლიეს კოლუმბიელებს (2:1), წააგეს იუგოსლავიისა (1:3) და სსრ კავშირის (1:2) გუნდებთან.

VIII ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში ურუგვაელებმა ოთხივე მატჩი მოიგეს: პერუსთან (1:0, 2:1), ვენესუელასთან (3:1, 5:0).

აი, ურუგვაის ახლანდელი ნაკრების კანდიდატები: **მეკარეები** — ვ. მაზურკევიჩი (ეროვნებით პოლონელი), ჰ. სოსა, ვ. ტაიბო; **მცველები** — ი. მანიჩერა, ო. კაეტანო, მ. მენდესი, რ. ჟილო; **ნახევარმცველები** — ნ. გონსალვესი, ემილიო ალვარესი, ელისეო ალვარესი, ლ. ბენიტესი; **თავდამსხმელები** — პ. როჩა, ჰ. სილვა, ხ. ურუსმენდი, ვ. დოუქსასი (ეროვნებით ლიტველი), დ. პერესი, ჰ. ჩონსუნეგვი, რ. ლანგონი, ი. ტოხა. ნაკრების ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მოიწვიოს თავდამსხმელები სასია და პავონი, რომლებიც ჩილესა და არგენტინაში თამაშობენ.

ურუგვაის ფეხბურთის ფედერაცია დიდ ფინანსურ სიძნელეებს განიცდის. ამიტომ ლონდონში გამგზავრების ხარჯების დასაფარავად მან ხელშეკრულება დადო სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ ფედერაციებთან მსოფლიო ჩემპიონატის წინ ამხანაგური მატჩების გამართვის თაობაზე. ურუგვაელები ითამაშებენ აფრიკაში, ისრაელში, ბულგარეთში, დანიაში, ხოლო ინგლისში ჩავლენ ივნისის ბოლო რიცხვებში.

„ურუგვაელებს უნარი შესწევთ კიდევ ერთი სიურპრიზი მოუტანონ ფეხბურთის სამყაროს", — აცხადებს ნაკრების ახალი ხელმძღვანელი ო. ვიერა. რაც შეეხება მიმომხილველებს, ისინი სკეპტიკურად უყურებენ ურუგვაის ახლანდელ ნაკრებს და მიიჩნევენ, რომ იგი ვერ გავა მეოთხედფინალში.

# 21 უძლიერესი

**წყალბურთის** საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალბურთელთა სია, რომელშიც შევიდა 21 სპორტსმენი. ესენი არიან: მეკარეები — ვ. გულიაევი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი), ი. გრაბოვსკი (მოსკოვის „ტორპედო"), ო. ბოვინი (მოსკოვის „დინამო"); მცველები — **ბ. გრიშინი** (მოსკოვის „დინამო"), ვ. კუზნეცოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ვ. სანაძე (თბილისის „დინამო"), **ი. ზინგერი** (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი), ე. ტროიცკი (მოსკოვის „დინამო"), ვ. კრუტკოვი (მოსკოვის „ტორპედო"); ნახევარმცველები — ვ. ჟმუდსკი (ლვოვის „დინამო"), ა. სოკოლოვი (ლენინგრადის „ბალტიკა"), **ვ. პუშკარიოვი** (მოსკოვის „ტორპედო"), ი. სკლოვსკი (ლვოვის „დინამო"), ი. კოპეიკინი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი), ნ. კალაშნიკოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი); თავდამსხმელები — **ვ. სემიონოვი** (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი), ლ. ოსიპოვი (მოსკოვის უნივერსიტეტი), ა. დოლგუშინი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი), გ. სკოკი (მოსკოვის „დინამო"), **ო. მიმინოშვილი** (თბილისის „დინამო"), ზ. ბორტკევიჩი (ბაქოს წითელდროშოვანი ფლოტილია).

შავი შრიფტით გამოყოფილია იმ მოთამაშეთა გვარები, რომლებიც შარშანაც იყვნენ უძლიერესთა სიაში.

# ...გადაწყვიტა ერთმა პარტიამ

თბილისის ჩოგბურთელთა ზამთრის ჩემპიონატში ახალგაზრდა ვ. შავლისის დაუმარცხებლად წინსვლა „დაამუხრუჭა" ა. ვერულავამ. ეს მოხდა ფინალური ჯგუფის ასპარეზობის ბოლო ტურში. ორთაბრძოლა წარიმართა გამოცდილი ოსტატის აშკარა უპირატესობით, რომელსაც იმ დღეს ყველაფერი კარგად გამოსდიოდა — ძლიერი მოწოდებაც, ზუსტი და უეცარი დარტყმებიც. საბოლოოდ, ვერულავამ ლიდერთან იოლ გამარჯვებას მიაღწია — 6:0, 6:1.

ფინალისტთა ოთხეულის მონაწილე ვ. გოგლიძემ გაიმარჯვა ნიჭიერ ჭაბუკთან პ. აბაშკინთან — 6:2, 12:10.

ბოლო ტურში ვერულავას მოუხდა კიდევ ერთი შეხვედრის გამართვა. ამჯერად მისი მეტოქე იყო აბაშკინი. ეს ბრძოლა წინდლით შეწყდა, როცა გადამწყვეტ პარტიაში ანგარიში საყაიმო იყო — 5:5. ამ დროისთვის სატურნირო ცხრილში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ თუ ვერულავა პარტიას გამარჯვებით დაამთავრებდა, I ადგილზე გადიოდა, თუ არა — ოთხეულის ბოლოში რჩებოდა და პირველობას შავლისს უთმობდა. სწორედ ამ ვითარებაში იმარჯვა აბაშკინმა, მოიგო პარტია (9:7) და III ადგილზე დამკვიდრდა. ვაჟიმა ბედმა შავლისსაც, რომელმაც პირველად მოიპოვა დედაქალაქის ჩემპიონის სახელი. II ადგილი წილად ხვდა ვ. გოგლიძეს.

ქალებში დამაჯერებლად იბრძოდა ა. ივანოვა, რომელმაც შეჯიბრების ბოლო დღეს დაამარცხა ნ. თუხარელი (1:6, 6:2, 6:4) და I ადგილზე გავიდა. რ. აბჟანდაძესთან მოგებით (6:3, 6:4) II ადგილი გაინაღდა ი. ერმოლოვამ. აბჟანდაძე III ადგილზე დარჩა.

ფ. თუშიშვილი.

# ახალი წონითი კატეგორიები

**მოსკოვი** (ჩვენი კორ.). ამ დღეებში შედგა სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც დაადგინა ახალი წონითი კატეგორიები 17-18 წლის ჭაბუკ მოჭიდავეთათვის. მომავალში გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატები ჭიდაობაში და ეს წონები ძალაში შეიყვანა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის ბიურომ.

ახალი წონითი კატეგორიები ასეთია: 48 კგ-მდე, 52 კგ-მდე, 56 კგ-მდე, 60 კგ-მდე, 65 კგ-მდე, 70 კგ-მდე, 75 კგ-მდე, 81 კგ-მდე, 87 კგ-მდე და 87 კგ-ს ზევით. ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ამიერიდან ჩატარდება ამ წონების მიხედვით.

[illegible]

✦ **ზესტაფონი**

ადგილობრივი სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა მოსწავლე ფრენბურთელთა რაიონული ასპარეზობა. საშუალო სკოლებს შორის I ადგილზე გავიდნენ შროშელები (მწვრთნელი გ. ბუხნიკაშვილი), ხოლო 8-წლიან სკოლებში — ზედასაქარელი ნორჩი სპორტსმენები (მწვრთნელი რ. სამხარაძე). ეს შეჯიბრება მიეძღვნა სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობებს.

ა. ბანუჩავა.

✦ **სოხუმი**

აქ დამთავრდა აფხაზეთის პირველობა ჭადრაკში, რომელშიც 12 სპორტსმენი მონაწილეობდა. 10,5 ქულით ჩემპიონი გახდა ოსტატობის კანდიდატი ა. ბრეიტმანი. II ადგილი დაისაკუთრა შ. ურიდიამ. III-IV ადგილები გაიყვეს რ. ქართბაიამ და ლ. ზაიდშერმა.

შ. ჯალალონია.

# საინტერესო გაფრთხილება

რომი, 17 იანვარი. „კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელებს შეუძლიათ სიურპრიზი მოუმზადონ ინგლისში მსოფლიო ჩემპიონატის რომელიც გნებავთ მონაწილეს", — აუწყა თავის მკითხველებს იტალიურმა გაზეთმა „მესაჯეროშ". გაზეთმა გამოაქვეყნა ინტერვიუ, რომელიც გაზეთის კორესპონდენტმა აიღო ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელ ჯ. ბაიიუტისგან. როგორც ცნობილია, ამ ქვეყნის ფეხბურთელებმა კამბოჯაში ორივე შესარჩევი მატჩი წააგეს კორეელებთან.

„გადაწყვეტილი მაქვს, — განაცხადა ბაიიუტიმ, — გავაფრთხილო იტალიის, სსრ კავშირისა და ჩილის ფეხბურთელები, რომ ამ მეტოქემ ჯგუფში შეიძლება მათ დიდი უსიამოვნება მიაყენოს მწვანე მინდორზე. კამბოჯაში გამართულ მატჩებამდე ჩვენ კორეელებზე არაფერი ვიცოდით და მათი ენერგიული თამაში ჩვენთვის აღმოჩენა იყო. კორეელთა გუნდი შედგება ტექნიკურად კარგად მომზადებული სპორტსმენებისგან, რომლებიც შესანიშნავად იყენებენ ტაქტიკურ სქემას 4+2+4. ფიზიკურად გამძლე, ამტანი და სწრაფი კორეელები თავიდან ბოლომდე თავდაუზოგავად თამაშობენ. მათი თავდამსხმელები მუდმივად იცვლიან ადგილებს და აბნევენ მცველებს".

ბაიიუტიმ გამოჰყო ორი თავდამსხმელი — ხან ბონ ჯინი და კიმ სონ ილი, როგორც ძალიან სწრაფი, მკვეთრი მოთამაშეები. ისინი ყოველგვარი მდგომარეობიდან ურტყამენ კარში ორივე ფეხით. გუნდში ყველაზე სუსტად ბაიიუტის მიაჩნია მეკარე ლი ჩან მუნი, რომელიც თამაშში ზედმეტად ფაციფუცობს.

„მჯერა, — თქვა ავსტრალიელი ფეხბურთელების მწვრთნელმა, — რომ კორეელი სპორტსმენები „ოქროს თასისთვის" ბრძოლაში უშიშრად ჩაებმებიან. თუმცა, ამით იმის თქმა კი არ მსურს, თითქოს ისინი ლონდონში გაემგზავრებიან „ოქროს ქალღმერთის" მოპოვების მიზნით, მაგრამ ერთი უეჭველია: მათ გადაწყვეტილი აქვთ აჩვენონ სპორტულ სამყაროს, რომ იციან ფეხბურთის თამაში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ კორეელებმა დაამარცხეს ავსტრალიის ნაკრები. ჩემი ქვეყანა „ფეხბურთის სახელმწიფო" არაა. ჩემი მრავალწლიანი სპორტული კარიერის მანძილზე ბევრი ეროვნული ნაკრების თამაში მინახავს და ამიტომ ვაცხადებ: კორეელთა ნაკრები ბევრ მათგანზე ძლიერია".

**სპორტი უცხოეთში**

# — იტალიაში

კავშირო შეჯიბრებამ, რომელიც ბაკურიანში გაიმართა, საბოლოოდ დაადგინა უნივერსიადაში მონაწილე გუნდი. კანდიდატთა შორის არიან ცნობილი სპორტსმენები — მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის კურსდამთავრებული, 1964 წლის საკავშირო ჩემპიონი სამჭიდში ტ. მონასტირიოვი, სსრ კავშირის 1965 წლის პირველობის პრიზიორი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი, 18 წლის ა. ტორმოსინი. საკმაოდ კარგ ფორმაშია სწრაფდაშვების ოსტატი, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ლ. ხუხანოვი. ქალებში ყველაზე უფრო ცნობილია სამჭიდსა და სწრაფდაშვებაში სსრ კავშირის 1965 წლის ჩემპიონი, ლენინგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი ა. ივანოვა, სსრ კავშირის პირველობის ბრინჯაოს მედლის მფლობელი სლალომში, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი გ. შიხოვა და სხვ.

● **რას იტყვით საბჭოთა სპორტსმენების მზადებაზე სპორტის სხვა სახეობებში?**

— კანდიდატთა ყველაზე მეტი რაოდენობაა სათხილამურო რბოლებში — 25 კაცი. 24 ნოემბერს, სვერდლოვსკში მოწყობილ მოკლევადიან შეკრებაზე ყველა მოთხილამურე გამოვიდა პირველ თოვლზე. 11 მონაწილე გამგზავრების წინ წვრთნას ჩაატარებს ბაკურიანში, რომლის ადგილმდებარეობა წააგავს კლავიერის ტრასებს. მანამდე კი ყველა კანდიდატი გუნდში მოხვედრას ერთმანეთს ეცილებოდა ოტეპიაში ამას წინათ გამართულ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა შეჯიბრებაზე.

იტალიაში გამგზავრების ყველაზე მეტი შანსი აქვს მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ასპირანტს, სსრ კავშირის 1965 წლის პირველობის პრიზიორს ი. ვორონჩიხინს და კემეროვოს პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტს დ. იარლიკოვს (IV ადგილი სსრ კავშირის 1965 წლის პირველობაში).

ტრამპლინიდან ხტომაში კანდიდატთა ჯგუფს მეთაურობს ლენინგრადის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ი. ზუბარევი (III ადგილი შარშანდელ საკავშირო შეჯიბრებაში), სათხილამურო ორჭიდში — პერმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ა. ნოსოვი (III ადგილი სტუდენტთა 1965 წლის IV თამაშებში) და კიროვის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ვ. დრიაგინი (IV ადგილი საკავშირო შეჯიბრებაში, რომელშიც გამოდიოდნენ უცხოელი სპორტსმენებიც). ორჭიდელთა გუნდის საბოლოო შემადგენლობა გაირკვევა ამ ორ-სამ დღეში, მხტომელებისა — 31 იანვარს (ვოროხტაში მოწყობილ საკავშირო შეჯიბრების შემდეგ).

უნივერსიადაში ფიგურისტთა შეჯიბრების პროგრამაში გათვალისწინებულია მხოლოდ 5 სავალდებულო ფიგურის შესრულება. ამ პროგრამით იტალიაში გამოსვლებისთვის ემზადებიან სსრ კავშირის ჩემპიონი, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი ს. ჩეტვერუხინი, სსრ კავშირის ჩემპიონი ერთეულთა სრიალში, ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი თ. მოსკვინა, სსრ კავშირის პირველობის ვერცხლის პრიზიორი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის სტუდენტი ა. ვედენინი, ჩვენი ქვეყნის „ვერცხლის წყვილი" — ტ. ჟუკი და ა. გორელიკი.

● **მომავალი უნივერსიადის შედეგებზე როგორია თქვენი პროგნოზები?**

— ყველა წინა უნივერსიადაში საბჭოთა სპორტსმენები არაოფიციალურ ჩათვლაში წინ იყვნენ. 1966 წლის ზამთრის უნივერსიადაში გამარჯვება უფრო რთულია, ვიდრე ოდესმე. მაგრამ სიძნელეთა წინაშე ქედის მოხრას ჩვენ არ ვართ ჩვეული.

# ყოველი მხრიდან

- როცა არ გყავს მდიდარი ძია
- არგენტინიდან მიდიან ვარსკვლავები
- „შავი მარგალიტი“ ტოვებს „ბენფიკას“

## ჰეიდმა ბიზნესი არჩია

„სამთო - სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი კარიერა დაისის წინაშე დგას“, — იუწყება ავსტრიის გაზეთი „ფოლკსშტიმე“.

ადგილობრივი გაზეთის კორესპონდენტთან პაუზარში სწრაფდაშვებაში დასავლეთგერმანელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჰეიდი ბიბლმა თქვა, რომ მონაწილეობის მიღებას ვერ შეძლებს სამთო-მოთხილამურეთა შორის მიმდინარე სეზონის თვით ყველაზე უფრო მსხვილ შეჯიბრებაშიც კი, რომელსაც საერთაშორისო სათხილამურო ფედერაცია აწყობს.

რამ აიძულა ოლიმპიური ჩემპიონი ასეთი გადაწყვეტილება მიეღო? იგი ასე ლაპარაკობს:

„მე დავრწმუნდი, რომ შეუძლებელია დიდხანს დარჩე საერთაშორისო მასშტაბის სპორტსმენად საკუთარი პროფესიული კარიერისთვის, საკუთარი კეთილდღეობისთვის ზიანის მიუყენებლად, თუ, რა თქმა უნდა, მდიდარი ძია არ დაგიტოვებს სოლიდურ მემკვიდრეობას. მე ასეთი ძია არ აღმომაჩნდა. და აი, ახლა, როცა 24 წლისა ვარ და გავთხოვდი, გადავწყვიტე თავად გავაკეთო ბიზნესი. მე და მეუღლემ მცირეოდენი ფული დავზოგეთ და ვაპირებთ საკუთარი პატარა სპორტული მაღაზია გავხსნათ. ამჟამად ეს მთავარია ჩემს ცხოვრებაში“.

## ცოცხალი საქონლის ექსპორტი

„საქმე იმას ჰგავს, რომ ცოცხალი საქონლის გაზიდვა ჩვენს ქვეყანაში ექსპორტის ძირითად სახეობად იქცა“, — მწუხარებით წერს არგენტინული სპორტული პრესა. გაზეთები იუწყებიან, რომ ბევრი, თვით ძლიერ მსხვილი არგენტინული საფეხბურთო კლუბისთვის სპორტსმენთა ახალგაზრდა თაობის აღზრდა არსებითად სრულიად უპერსპექტივო საქმედ იქცა. საკმარისია კლუბმა ნიჭიერი მოთამაშე აღზარდოს, რომ მას მაშინვე ევროპაში იბირებენ. ადგილობრივ კლუბებს კი იმის შეძლება არა აქვთ, რომ მათ თუნდაც მცირე ნაწილი გადაუხადონ იმ თანხისა, რომელსაც სულ უბრალოდ იძლევიან მსხვილი ევროპული საფეხბურთო პროფესიული გუნდების პატრონები. მეტიც, არგენტინის წამყვან კლუბებსაც კი არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ ოქროს ამ მაგნიტს, რომელიც მოთამაშეებს იზიდავს.

და აი, შედეგი: ექსპერტებმა გამოიანგარიშეს, რომ უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში არგენტინიდან ევროპაში ექსპორტირებული იქნა 230 საუკეთესო ფეხბურთელი. ამ სპორტსმენთა უმრავლესობა დაფუძნდა იტალიაში, საფრანგეთში, ესპანეთსა და პორტუგალიაში, ამასთან, ბევრნი „ეროვნული ნაკრები გუნდების“ მოთამაშეებიც კი გახდნენ. საკმარისია ითქვას, მაგალითად, რომ იტალია მსოფლიოს ჩემპიონატში თავის პირველ გამარჯვებას უნდა უმადლოდეს არგენტინის სამ სახელგანთქმულ ფეხბურთელს — მონტის, ორსის და გუაიტას, რომლებიც იტალიის ნაკრების შემადგენლობაში გამოდიოდნენ.

ამჟამად ყველაზე უფრო პოპულარული არგენტინელები, რომლებიც ევროპის საფეხბურთო კლუბებში „მსახურობენ“, არიან ისეთი ვარსკვლავები, როგორიცაა ალფრედო დი სტეფანო („ესპანიოლა“, ბარსელონა) და ომარ სივორი („ფკ ნაპოლი“).

## ეუსებიოს „დასკვნები“ გაეოაქვს

როგორც ცნობილია, პორტუგალიელი ფორვარდი ეუსებიო (ლისაბონის „ბენფიკა“) გაზეთ „ფრანს ფუტბოლის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღიარებულ იქნა ევროპის 1965 წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ამასთან დაკავშირებით, ეუსებიომ ინტერვიუ მისცა პორტუგალიის გაზეთ „დიარიო დე ლისბოას“. ეს ინტერვიუ ერთობ აღფრთოვანებულ ტონშია დაწერილი.

„როცა ეს გავიგე, — განაცხადა ცნობილმა ფორვარდმა, — უბრალოდ, ცრემლები მომერია. გრძნობების შეკავება ვერ შევძელი. არაფრით ველოდი პირველი ადგილის დაკავებას, ვინაიდან მუდამ ვთვლიდი, რომ წლის ფეხბურთელად იტალიელი ფაკეტი გახდებოდა. ამიტომ არ შემიძლია გამოვთქვა, თუ რამდენად ბედნიერი ვარ“. და სრულიად შეუმჩნევლად ინტერვიუს ბოლოში ეუსებიოს ასეთმა ფრაზამ გაიელვა: „მე, რა თქმა უნდა, საკუთარ დასკვნებს გამოვიტან კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში ჩემი ადგილის ესოდენ მაღალი შეფასებიდან“.

„დასკვნების“ ცდა დიდხანს არ მოგვიხდა. იტალიურმა გაზეთმა „ილ ჯორნომ“ ამ დღეებში გვაუწყა საფეხბურთო წლის „ყველაზე უფრო სენსაციური გადაბარგება“. ამ ცნობის თანახმად, ეუსებიო სასწრაფოდ აპირებს მიეყიდოს უმდიდრეს იტალიურ კლუბ „ინტერნაციონალეს“ (მილანი). გაზეთი მოგვითხრობს რამდენიმე „დეტალზეც“. „ბენფიკაში“ წლის განმავლობაში ცნობილი ფორვარდი 500 ათას ესკუდომდე იღებს. „ინტერნაციონალეს“ პატრონებმა კი „ევროპის 1965 წლის საუკეთესო ფეხბურთელს“ წელიწადში 30 მილიონი ლირი შესთავაზეს, რაც თითქმის სამჯერ აღემატება ზემოაღნიშნულ თანხას.

როგორღა შეხედავს თავისი ლიდერის წასვლას ლისაბონის კლუბ „ბენფიკას“ ადმინისტრაცია? ამ კითხვით გაზეთმა „ილ ჯორნომ“ თავად ეუსებიოს მიმართა.

„რა თქმა უნდა, თავდაპირველად ყველანი წინააღმდეგნი იყვნენ, — თქვა მან. — მაგრამ ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მილანის კლუბის მიერ შეთავაზებული გამოსასყიდი თანხა — 300 მილიონი ლირი — დააჯერებს ჩემს ახლანდელ პატრონებს, რომ გადასვლის ნებართვა უნდა მომცენ“.

ფეხბურთი

## „რეალი“ დაეწია ლიდერს

კვირას ჩატარდა ესპანეთის ჩემპიონატის XIX ტური. მადრიდის „ატლეტიკომ“ ფრედ ითამაშა გასვლითი მატჩი „მალაგასთან“ — 1:1.

მადრიდში ადგილობრივი „რეალი“ შეხვდა „ვალენსიას“. მასპინძლებმა სწრაფი ტემპი განავითარეს და პირველ ნახევარში 2 გოლი გაიტანეს — 2:0.

მეორე ტაიმში მადრიდელთა მეკარე ბეტანკურის კარგი თამაშის წყალობით „რეალის“ კარი მხოლოდ ერთხელ იქნა აღებული.

2:1 — ამ გამარჯვების შედეგად „რეალი“ ლიდერს დაეწია.

ბარსელონაში ადგილობრივმა გუნდმა მოუგო „პონტევედრას“ — 3:0.

„ესპანიოლის“ შემადგენლობაში შესანიშნავად თამაშობს ცნობილი ფეხბურთელი ა. დი სტეფანო. „ესპანიოლმა“ სევილიაში მოუგო „სევილიას“ (2:0) და ორივე გოლი დი სტეფანოს თანაავტორობით იქნა გატანილი.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: ბილბაოს „ატლეტიკო“ — „კორდოვა“ 3:2, „ელჩე“ — „სარაგოსა“ 3:1, „მაიორკა“ — „ბეტისი“ 4:0, „საბადელი“ — „ლას-პალმასი“ 1:0.

27 ქულით ლიდერობს მადრიდის „ატლეტიკო“. ამდენივე ქულა აქვს მადრიდის „რეალსაც“, მაგრამ ბურთების უარესი შეფარდების გამო იგი II ადგილზეა. „ბარსელონას“ და ბილბაოს „ატლეტიკოს“ 23-23 ქულა აქვთ.

## სუარესი მძიმედ დაშავდა

გუშინწინ იტალიის ჩემპიონი — მილანის „ინტერნაციონალე“ XVII ტურში შინ შეხვდა გათამაშების ერთ-ერთ ლიდერს, I ლიგის დებიუტანტ „ნაპოლის“. მეტოქენი ბევრს უტევდნენ, მაგრამ ამაოდ. 71-ე წუთზე ორივე გუნდს თითო მოთამაშე გამოაკლდა — ნეაპოლელი ფორვარდი იულიანო მინდვრიდან გააძევეს სუარესზე თავდასხმისთვის, ხოლო ეს უკანასკნელი ჰოსპიტალში აღმოჩნდა, სადაც გამოირკვა, რომ მას ძვალი აქვს გატეხილი.

„მილანმა“ ფრედ ითამაშა „კატანიასთან“ — 1:1. მილანელთა გოლის ავტორია ბრაზილიელი სორმანი, რომელიც 14 ბურთით ლიდერობს ჩემპიონატის სნაიპერთა სიას.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ფოჯა“ — „კალიარი“ 0:0, „ლანეროსი“ — „ბოლონია“ 1:1, „ლაციო“ — „ფიორენტინა“ 0:0, „სამპდორია“ — „იუვენტუსი“ 0:0, „სპალი“ — „ბრეშია“ 0:2, „ტორინო“ — „ატალანტა“ 2:1, „ვარეზე“ — „რომა“ 0:0.

ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე“ | 17 | 30:11 | 25 |
| „მილანი“ | 17 | 27:15 | 24 |
| „ნაპოლი“ | 17 | 27:15 | 23 |
| „იუვენტუსი“ | 17 | 16:10 | 21 |
| „ბოლონია“ | 17 | 28:17 | 20 |



საფრანგეთის სამთო-მოთხილამურეები ენერგიულად ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის. ამ მიზნით ისინი რეგულარულად გამოდიან საერთაშორისო შეჯიბრებებში, სადაც ეცნობიან ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში მოსალოდნელ მეტოქეთა ტექნიკასა და ტაქტიკას.

ერთი ასეთი ასპარეზობა მოეწყო ამას წინათ ობერპაუზენში (გფრ). ქალთა შორის თავი ისახელა მ. გოიჩელმა, რომელმაც მოიგო სპეციალური სლალომი და სამჭიდიც. მისი და, კრისტინა, გავიდა II ადგილზე.

სურათზე: მ. გოიჩელი ასპარეზობის დროს.

ქვეყნები

ჩემპიონატები

ლიდერები

„ლელოს“ საკუთარი ინფორმაცია

## წინა ხაზზე მდგომარეობა უცვლელია

ინგლისის ჩემპიონატის XXVI ტურში ვერც ერთმა ლიდერმა ვერ შეძლო ქულათა მაქსიმუმის მოპოვება. მაგალითად, „ლივერპულმა“, რომელიც უკვე კარგა ხანია I ადგილზეა, ფრედ ითამაშა საკუთარ მინდორზე „ვესტ ბრომვიჩ ალბიონთან“. მასპინძლებმა დასაწყისში გაუშვეს 2 გოლი, მაგრამ შესვენებამდევე გაქვითეს ორივე გოლი — 2:2. II ადგილზე მყოფი „ბერნლი“ დამარცხდა „შეფილდ იუნაიტედთან“ (1:2), ხოლო „ლიდს იუნაიტედმა“ ფრედ ითამაშა „სტოკ-სიტისთან“ — 2:2.

„მანჩესტერ იუნაიტედი“ ლონდონში შეხვდა ადგილობრივ „ფულჰემს“, გათამაშების აუტსაიდერს. შარშანდელი ჩემპიონისა და აუტსაიდერის შეუპოვარი ბრძოლის ბედი ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა: მანჩესტერელი ლოუს მიერ წამოწყებული კომბინაცია რ. ჩარლტონმა გოლით დააგვირგვინა — 1:0.

დანარჩენი მატჩების შედეგებია: „ასტონ ვილა“ — „ნოტინჰემ ფორესტი“ 3:0, „ბლეკბერნ როვერზი“ — „არსენალი“ 2:1, „ბლეკპული“ — „ევერტონი“ 2:0, „ტოტენჰემ ჰოტსპური“ — „ნიუკასლ იუნაიტედი“ 2:2, „ვესტ ჰემ იუნაიტედი“ — „ნორთჰემპტონი“ 1:1.

სატურნირო ცხრილის სათავეში „ლივერპული“ — 39 ქულა. II ადგილზეა „ბერნლი“ — 36 ქულა. „ლიდს იუნაიტედს“ 33 ქულა აქვს, ხოლო IV ადგილზე 31 ქულით იმყოფება „მანჩესტერ იუნაიტედი“.

ფეხბურთი

## „სელტიკი“ პოზიციას არ თმობს

შოტლანდიის პირველობის ლიდერმა „სელტიკმა“, როგორც ვიტყობინებოდით, აბერდინში დამარცხება განიცადა „აბერდინთან“ — 1:3.

„კილმარნოკმა“ საკუთარ მინდორზე დაამარცხა III ადგილზე მყოფი „დანფერმლაინ ატლეტიკი“ — 1:0.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „კლაიდი“ — „სტერლინგ ალბიონი“ 0:1, „დანდი იუნაიტედი“ — „სენტ-მირენი“ 3:0, „ფოლკერკი“ — „ჰიბერნიენსი“ 3:2, „ჰართ ოვ მიდლოტიენი“ — „სენტ-ჯონსტონი“ 0:0, „მორტონი“ — „ჰამილტონ აკადემიკლსი“ 3:0, „მადერუელი“ — „პარტიკი“ 0:0.

ლიდერთა ოთხეული ასე გამოიყურება:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „სელტიკი“ | 19 | 65:20 | 33 |
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 19 | 58:19 | 31 |
| „დანფერმლ. ატლეტ“. | 20 | 55:28 | 29 |
| „დანდი იუნაიტედი“ | 18 | 48:18 | 27 |

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 05818